<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39(46), 1999 წელი, მუხ. 190) მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 ნაწილი:

„2^1. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000000 ლარს ან/და საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, სახელმწიფო ორგანო მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ ორგანოს წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი იმავე საქმეზე მიანიჭოს წარმომადგენლობის უფლებამოსილება იმ თანამდებობის პირს ან სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც ამ ორგანოში მსახურობს.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*